# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №43/ს

ქ. მცხეთა

17 ივნისის 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულების და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის 11 აპრილის N01/1907 წერილის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ „გიორგი ქავთარაძის" სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. სოფ. არაშენდაში სარიტუალო დარბაზის სარემონტო სამუშაოები -7965 ლარი.(CPV45200000).

## 2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;

2.2ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 7965 (შვიდიათასცხრაასსამოცდახუთი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.ეტაპობრივად წარმოდგენილი ფორმა N2-ის შესაბამისად და მიღება-ჩაბარების აქტისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია.

4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცეთის მუნიციპალიტეტის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

*13 .მხარეთა რეკვიზიტები*

*„მომწოდებელი"*

*ი.მ „გიორგი ქავთარაძე"*
*ტელ: 599 17 57 67*
*ს/კ 31001050479*
*ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს*

*მცხეთის ფილიალი*
*ბანკის კოდი:* ***LBRTGE22***
*ა/ა* ***GE86LB0112110253539000***
*მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ. 97*
*ინდ. მეწარმე*

*გ. ქავთარაძე*

*„შემსყიდველი"*

*მცხეთის მუნიციპალიტეტი*

*ს/კ 236094196*
*მცხეთის ფილიალი*
*ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს*
*მცხეთის ფილიალი*
*ბანკის კოდი:* ***LBRTGE22***
*ა/ა* ***GE93LB0120130269077000***
*მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7*
*საკრებულოს თავმჯდომარის*
*მოადგილე*
*გ. [illegible]*